

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მინაგან საქმეთა სახანისტროს ცნობებით საქართველოში ანარქიამ იკლო. — მოსკოვიში მდებარე ნეს ალექსეევის ორგანიზაცია საიჭიროების მიზნით წინააღმდეგ მიმართული: 6 მეთაური დახვრიტეს, მრავალი ძეიპერეს.

№ 314

მთავარი კომიტეტის ორგანო

„სახალხო საქმე“

ლიტრა: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 60 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრატონი პეტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დღის 9—3 საათამდე, სასაქონის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტიის სახმედრო საბჭო აუწყებს ამხანაგთ, რომ დღეს მარიამობისთვის 25-ს დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვილი ბათუმის პარტიზანულ პოლკის მამულისათვის თავდაცულ ოფიცრის, ამხანაგის **დიმიტრი იმედიას ძე გულიაშვილის** სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვის შემდეგ. 1284

უძროდ გულმოკლული მშობლები კობო და ვარლამ, ძმები შოთა და კაკო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათ, კვირას, აგვისტოს 11 ტფილისიდან იმერეთში მიმავალი, ზაში, ხაშურში გარდაეცვალათ ნავადამყოფარი წლი-ნახევრის ბავშვი. **გიმინა კიკიშვილი.** ის წასვენებული იქნა სოფ. კელამს და დასაფლავებულია გვარკმის გულესის გაღვანში თავისი ბაშა ბექტორ როსტომის ძე მიწველის გვერდით. 898

სამშაბათს, აგვისტოს 27 ანისხატის ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცე დღის წირვა და პანაშვილი **ეკატერინე თომას ასულის კავლიაშვილის** სულის მოსახსენებლად. ჩასაც გულთაძის მწესარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შეიღონი განსვენებულისა: აღმკსანდრე, დავით, მარიამ, ელენე და ნინო, წირვის დასაწყისი 9 ნახ. საათზე, პანაშვილი 11 ნახ. საათზე. 899

ნინო მიხეილის ასული და გიორგი მიხეილ ძე ხიზანაშვილები მეუღლით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ აგვისტოს 25, კვირას, გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვილი მათი საყვარელი ღის **პატიუზა სიზანაშვილის** სულის მოსახსენებლად ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნაშუადღევს 1 საათზე. 895

თელავის ვეთა გიმნაზიის საპედაგოგო საბჭო აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას ამხანაგის ამავე გიმნაზიის მასწავლებლის **ალექსანდრე იოსების ძე ქვიციანი** გარდაცვალებას. პანაშვილები გადახდილ იქნება ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დასაფლავების დღე კალ. ევ გამოცხადდება. 897

საქართველო. რესპუბლიკის ს. ოფიც. ეპონოპ. საზოგადოება

(ყოფილი კავკასიის ოფ. გენ. საზოგ.)

იწვევს რეგისტრაციისთვის საზოგადოების ყველა წევრს სახ. მთავარ კანტორაში (კერძის ქ. № 9) 10 ს. — 2 საათ.მდე. რეგისტრაციისთვის უნდა წარადგინონ: პაიო წიგნაკი, საწვერო ბილეთი და „ნაბონნი“ წიგნაკი პირდების დამამოწმებელ დოკუმენტით. რეგისტრაციისთვის წიგნაკს პატრონი პირადან უნდა გამოცხადდეს. რეგისტრაცია სწარმოებს დღიდან გამოცხადებისა ამ წლის ოქტომბრის 1-მდე. ის შემდეგ საქონელ. მივცემთ მხოლოდ დათვარში შეტანილ (რეგისტრაციის შემდეგ) წიგნაკის მიხედვით. ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის რეგისტრაციის ვადა გავრცელებული იქნება. მთავრობის კომისია. საზოგად. გამგეობა. 1283

ფ. 1-ლი საკომისიო სასწავლებელი

ითი აცხადებს, რომ განმეორებითი ეგზამენები დაიწყება ახალის სტილით ოფიცის 14-ს.

მისაღები გამოცდები 1 კლასისათვის ყველა საგნებში მოხდება ენკენის 19 და 20 ს. ხოლო მე-2, 4, 5 და მე-7 კლასებში ხელმეორე გამოცდების შემთხვევაში. საანბანო კლასში (უმცროს მოსამზად. განყოფ.) მიიღებენ ბავშვებს მცნოდ არა უფროს 8 ნახ. წლისა. დაწვრილებითი ნუსხა გამოკიდულია კლასების შენობაში. ეგზამენები დაიწყება დღის 9 ს. (ახ. დღ.). სწავლა და ენკენისთვის 23-ს, დღის 8 ნახ. ს. 1285

დიდი ცირაძე

გ. ეფიმიძისა

მიხეილის პრ., მუშტ, ახლო, საყუთ, ახლად შეკეთ კაპიტალური სახამორო შენობა, ტელეფ. 16 60.

დღეს, აგვისტოს 25-ს გაიმართება **დიდი საღვთისაწალო წარმოდგენა** გასტროლი ცირაძის სლასტრუქინისკისა, ძმ. იხევიკობისა, გაბრიელ თეობოსის, ვულისა და მისი და სხვათა შენობაში. ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება გაზაფხულის სეზონი. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 900

სვილიის

ტფილისი, აგვისტოს 25

დაწარმული ლიტეტი გამოწვევა რუსეთისა, გვეგონა, თავის ლოლიკურ შედეგს ალწვეს! ჰხდება ის, რასაც უწინასწარმეტყველებდნენ ბოლშევიკებს შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსები:

საბოლოოდ დანგრეულს და გათანხირებულ რუსეთში იწყება რეაქტია ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ძირითადი საკითხი აქვს გადასაწყვეტი რუსეთს, ორი ძირითადი საკითხის გამო შეიძლება იჩინოს თავი რეაქციამ: გარეშე და შინაურ პოლიტიკაში. შინაურ პოლიტიკაში რეაქციის გაძლიერება ნაშნავს ბოლშევიზმის დამარცხებას, იდეურად გაკოტრებული ბოლშევიკების ფაქტიურად გადადგომას მართვა-გამგეობის სათავედან.

მაგრამ ვინ ან რა იზიარა წეს-წყობილებამ შეიძლება დაიჭიროს რუსეთის მთელი განთავისუფლებული იდეალი? თვითმპყრობელობის შემდეგ რესპუბლიკა გამოცხადდა, მაგრამ ეს გამოცხადება მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისა იყო. რეალურად, ფაქტიურად რუსეთს ერთი (სათაყ) არ უცხოვრია რესპუბლიკანურ წეს-წყობილებაში, ერთი საათიც არ განუცდია პარლამენტარიზმის რეჟიმი.

იღია დამფუძნებელი კრებისა ბოლშევიკურ აჯანყებაში ჩიღრჩი და პარლამენტარული ტრადიციების შექმნა შეუძლებელი გახდა. მეფის თვითმპყრობელობა ბოლშევიკების თვითმპყრობელობით შეიცვალა, მეფის ტირანდის ადგილი ბოლშევიკების ტირანიამ დაიჭირა. იღია პარლამენტარიზმის რუსეთში იმე მოკვდა, რომ სიცოცხლე არც კი ჰქონდა. ამიტომ რეაქციის გაძლიერების დროს ბუნებრივად ხორცს ისხამს ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც რევოლიუციამ მოსპო: მონარქია.

ნარევი ქართველობა რუსეთი ეჭვთს უკიდურესობას ეხეთქა და რეაქცია, ალბათ, მას ისევე მეორე უკიდურესობამდე მიიყვანს. ამიტომ ჩვენ სრულიად არ უნდა გავიკვირდეს, თუ რუსეთის ნანგრევებზე ერთს მშვენიერ დღეს ისევე მეფის ტახტს აღმართა: ეს იქნებოდა ლოლიკური დასკვნა ბოლშევიკების ანარქისტული მოღვაწეობისა.

მეორე საკითხი, რომელიც აგლოლივით ავხვევა რეაქციას, გარეშე პოლიტიკის საკითხი იქნება. ბოლშევიკურმა რუსეთმა ომი გაათავა გერმანიასთან, მაგრამ ეს საზარალი აღმართა არა მარტო რუსეთისთვის არამედ რუსეთის მოკავშირეთათვისაც. და აი, ჩვენა ვხედავთ, რომ ინგლისელები და ფრანგები, იაპონელები და ამერიკელები რუსეთის შინაურ საქმეებში ერევიან და მსურთ ან კვლავ გერმანიის წინააღმდეგ აღმართონ რუსეთის ხმალი, ან, თუ ეს მოუხერხებელი აღმოჩნდება, ჩამოსკრან რამე რუსეთს და ამით თავიანთი ზარალი აანახალონ.

რუსეთის მოკავშირეების ამ განზრახვის წინააღმდეგნი არიან ბოლშევიკები, რომლებმაც უკვე გამოაცხადეს რუსეთი ამერიკიდან ომის გამოუცხადებლად მოსაგერიებელი ომს აწარმოებს ინგლისელებთან. ბოლშევიკების ამ პოლიტიკას სრულიად მოულოდნელად მხარი დაუჭირა კადეტების მეთაურმა მი-

ლიუკოვმა, რომელსაც საჭიროდ შიანია რუსეთმა ორიენტაცია შეიცვალოს და გერმანიასთან დაახლოვებით შეუდგეს დანგრეული რუსეთის აღდგენას. გაიმარჯვებს თუ არა მილიუკოვის აზრი რუსეთში? არ ვიცით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ აზრების გამარჯვება, როგორც გარეშე პოლიტიკის ძირითადი შეცვლა, ძირითადვე შესცვლის შინაურ წესწყობილებას და ნიადაგს მოუზადებს მონარქიის აღდგენას რუსეთში.

თუ ამნაირად შეიცვალა რუსეთის განვითარების პროცესი, ეს ჩვენთვის არ იქნება უმნიშვნელო. ორიენტაციის შეცვლა რუსეთში და პქტიური ბრძოლის გაძლიერება ინგლისის წინააღმდეგ რუსეთ-გერმანიის შეერთების ძალებით აუცილებლად ახალს სიტუაციას შექმნას ჩვენს ქვეყანაში: გერმანიის აქა დაუპირისპირდება ინგლისს და რადგანაც ჩვენი ქვეყანა ძალიან ახლოა იმ ადგილებთან, სადაც ინგლისისა და გერმანიის იმპერიალისტური ინტერესები ერთმანეთს ეჯახება, ადვილად შესაძლებელია ჩვენი ქვეყანა ორი დიდი სახლმწიფოს ბრძოლის სფეროში მოექცეს.

მეორე საკითხი უმნიშვნელო არ იქნება ჩვენთვის. ორიენტაციის შეცვლას რუსეთში შეიძლება მონარქიული წესწყობილების აღდგენა მოჰყვას. ეს კი ისეთი მოვლენა იქნება რუსეთში, რომელსაც საქართველოსაც დაემუქრება, როგორც ბუნებით აგრესიული ძალა საქართველო თუ ბოლშევიკურ რუსეთს გაექცა, მით უფრო დიდი სურვილი ექნება გარდაუვალი კედელი აღმართოს თავისისა და მონარქიულ რუსეთს შორის. მონარქიული რუსეთი იქნება ის უკანასკნელი წერტილი, რომელმაც სამუდამოდ უნდა გაეყაროს რუსეთი და საქართველო და ყოველივე ზნეობრივი კავშირი კი მათ შორის გასწყვიტოს. საქართველო იბრძვის არა მარტო დამოუკიდებლობისთვის, იგი იბრძვის რესპუბლიკანური წესწყობილებისთვისაც.

ყოველივე ეს საბუთს. გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველოს პოზიცია ამ მოსალოდნელი ცვლილებების დროს შეიძლება იყოს მხოლოდ სასტიკად ნეიტრალური. ჩვენთვის ნეიტრალიტეტი საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ პატარა ვრი ერთ და აქტიური ბრძოლის ასარეზზე ვერ გამოვალთ, მით უფრო ყველა იმ უბედურებათა შემდეგ, რომელიც გადავიტანეთ; არამედ ნეიტრალიტი პოზიცია საჭიროა იმიტომაც, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული გავხდებით კვლავ მონარქიული რუსეთის კოალიციაში მოექცეოდით, მონარქიული რუსეთი კი თავისე თვისებით ისეთი რამ არის, რომელიც საბოლოოდ მოსპობდა როგორც ჩვენს დამოუკიდებლობას, ისე ჩვენს რესპუბლიკანურ წესწყობილებას. ჩვენთვის ერთიც ძვირფასია და მეორეც, ამიტომ ერთადერთი პოზიცია, რომელიც შეიძლება აირჩიოს საქართველომ, უნდა იყოს პოზიცია ნეიტრალიტეტისა, რომელიც მან საჯაროდ გამოაცხადა მეფელი ქვეყნის გასაგონად საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიულ აქტში.

ჯარის საჭიროება

ამი წლის დამდეგს, როდესაც საქართველოს ცას ყოველ მხრივ შვიი ღრუბლები შემოაფეხ და თითქოს მოახლოვდა ჩვენი განკითხვის დღე, — მზერაოდ მივმართავდით ყველას: შეიარაღდით

დიდი და პატარა, ვინაიდან მხოლოდ იარაღით შეგვიძლია დავიცვათ ვერა, მხოლოდ იარაღით დღეს ფიზიკური და არაჯი უფლებების (და ღირსების, მხოლოდ ბრძოლაშია ჩვენი ხსნა...

არა ნაკლებს დაბეჯითებით შეგვიძლია ახლაც ვსთქვათ, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულია, გასაჭირი და განსაცდელი კიდევ უფრო მოსალოდნელია და ერთადერთი მკვიდრი საშუალება თავის გადასარჩენად დღესაც სამხედრო მომზადება და ფიზიკური ძალაა. მართალია დღეს დამოუკიდებელი ერი ვართ, მაგრამ ამ გარემოებამ კი არა გაამარტოვა ჩვენი საქმე, არამედ მეტი მოუვალეობა დაგვაჩინა, უფრო გავიერთულ არსებობა. ამასთანავე საერთაშორისო ურთიერთობაც უფრო მწვავედ და მკაცრს ხასიათს იღებს და გერმანელთა საქართველოსა და აზიისკენ გამოწვევა ოდნავად არაა გამოწვეული ჩვენი ქვეყნის სიყვარულით. აქ მტრად ფართო და რთული მიზნებია ჩასვლილი და თუ წინად მსოფლიო ცუცხლის გარედ ვიყავით ასე თუ ისე, ვაი თუ დღეს ვაში, როცა საკვეყნო ტრაგედიის გმირები ჩვენს მიწა-წყალზე დაეცავენ არაერთმანეთს. ეს ხომ უკვე აღნიშნა გავრთი ამ დღეებში გერმანიის მისიის ერთ-ერთმა წევრმა.

ვიდრე დღევანდელი ომი არ დამთავრებულა და მთავარი მებრძოლი არ მორიგებულან, ყოველთვის უნდა მოველოდეთ ხიფათს და მზად ვიყოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლებ დავზარალებდეთ, რაც შეიძლება უფრო შენახული გამოვიდეთ ქარცეხილიდან.

თუ ყველაფერს ამას გავითვალისწინებთ, შეფასებელი არ შეგვიძლია, რამდენად საჭირო და მჭირფასია ჩვენთვის დღეს ჯარის შექმნა. ჯარი ყველგერი ჩვენი არსებობისათვის, ჩვენი თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის და მის მოწყობას სასწრაფო შერევისა და გამოხადება უნდა მიექცეს თუ უდიდესი ყურადღება, ბევრი რამ შეგვიძლია დავთხოთ; შევამჩროთ, გადავდეთ სამეგრისით, მაგრამ ჯარი კი უნდა შეექმნათ დაუყოვნებლივ და არ დავერიდოთ ამის არაერთარ ხარჯს და და მსხვერპლს. ჯარი თუ გვეყოლება ყველაფერი გვექნება და შეგვიჩება, ხოლო უჯაროთ ერის მტკაველ მიწას ვერ შევიწარჩუნებთ და ჩვენი დამოუკიდებლობისა ნასახიც არსად იქნება.

ეროვნულმა საბჭომ უკვე დაამტკიცა კანონები საქართველოს არმიის მოწყობისა. ამის მიხედვით ხდება სრული პიროვნული პოზიცია ჩვენი საომარი ძალებისა და მათი მართვა-გამგეობისა. რამდენიმე თვეში უნდა შედგეს დაწყებული რიცხვი ჯარისა, რომელიც იქნება ოცდათუთმეტ ათასამდე. ესლანდელ ომში ჩამხული ჯარების რაოდენობასთან შედარებით, ეს რასაკვირველია მეტად მცირეა, მაგრამ ჩვენთვის, რომ ჩვენს ხმას და მოთხოვნებს გასავალი ჰქონდეს, რომ დავიცვათ ტერიტორია და თავისუფლება, ოცდა თუთმეტ ათასი კარად გაერთიანილი და დარაზმული შეიარაღი დიდი განძია, დიდი იარაღია, რომელიც ბევრს რამე გადასაწყვეტს. ეს ჯარი კი არა, ამის ნახევარი, ამის მესამედიც რომ გვეყოლოდა, ოსმალეთის ისე აბუზად ვერ აგვიგდებდა და ოდნავად ვერ გადალახავდა ჩვენს უფლებას.

ისევ გვიან, ვიდრე არასოდეს. რაც იყო — იყო. ესლა მიიცი გამოვასწოროთ შევიდომა და ნაკლი. ესლა მიიცი შევიდნოთ ჯარის აუცილებლობა და სრული ნდომით მოვიკიდოთ ხელი მის შექმნას. ამ ჯარის შექმნა შესაძლებელია, უდიდესი არ უნდა ვიყოთ. თუ ბევრი სარცხელი გვიჩვენეს ჩვენმა ჯარის კაცებმა უკანასკნელ თვეებში, მის უარყოფაც არ შეგვიძლია, რომ ბევრმა ისახელა თავი და არა ერთსა და ორ ალბას გვიჩვენეს გამარჯვება. განა ი. გმდევანიშვილის, მაზნიაშვილის, სახალხო გვარდიის მეთაურთა ლომებრივი ბრძოლა და თავისუფლება არ გვიბრტყიებს ნათლად იმას, რომ ჩვენს მიერ ათასი თვედ სუფლებსა და საერო საქმისთვის შედ



ნებათა უმცირესობის შესახებ. სომხეთისათვის იქნება 10 წარმომადგენელი — აზერბაიჯანისათვის — 4, კახეთისათვის — 2, ებრაელებს — 2, გერმანელებს — 1. წარმომადგენლებს ეროვნული საბჭო წარადგინენ. თუ ერთი საბჭო არ ეყოლება ვისმე პარტიათა შეთანხმებით უნდა აირჩიონ კანდიდატი.

დაპატიმრება. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში დაპატიმრება არ შეიძლება სპეციალური განკარგულების საბჭოს განკარგულების შემთხვევაში.

საზღვაო გზების დატვირთვა. საზღვაო კაპიტანის ერთ-ერთი ვახუშტის უწყება, ქალაქ კავკასიის აღმზრდელის ახალგაზრდას დატვირთვით ცნობილი მოსახლეობის ხელმძღვანელი საზღვაო მკვლევარის დროს მისი რაზმის ერთი კაცისაგან და შესდგინა.

დავით წერეთლის მკვლელობის გამოძიების საქმის განხილვისას, გორის გერარდის მიერ მოწოდებული საბუღალტრო გერარდის მთავარი შტაბის ოფიცერის დავით წერეთლის მკვლელობის საქმე გამოიძიება გორის ტრიბუნალმა და ტფილისის ტრიბუნალს გადაეცა განსჯისთვის.

საერთო არჩევნების გორის მაზრაში საერთო საარჩევნო სიების შედგენის საქმე დასრულდა გარდა ცხინვალისა და ჯავის რაიონისა, სადაც მცხოვრებთა ინდიფერენტობის გამო.

ლიმ. გულისაშვილის პანაშვიდი დღეს, დღესს ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ამხანაგის და საუკეთესო მამულიშვილის დიმიტრი იერემიას ძე გულისაშვილის სულის მოსახსენებლად.

სასოფლო კომისიამ დაადგინა: ეცნოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულ პარკების მფლობელობაში პრაქტიკულად აკაცი ფიჩხაიას, რომ განაწილოს მთელ სასოფლო-სამეურნეო ძალები, მის განკარგულებაში რომ არის.

ერევნიდან ჩამოსულია სიტყვით გულისაშვილის მხრიდან დაჭრილი ასკერების იამაკავით. ოსმალებმა წინააღმდეგობა მისთვის მცხოვრებლებს თავიანთი ალ-შეილი გაგზავნონ ქალაქიდან, ოსმალები ქალაქიდან დიდ-ძალ სხვა და დასაქონელს წავიდნენ.

ბაქურიანიდან გენერალ მაიორი კაშვილი ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს რომ დღევანდელ დღეს კოლხეთში აუარებული ლტოლვილი, რომელსაც არა აქვთ საქართველოს მთავრობის ნებართვა. ისინი დიდ გაჭირვებაში განიჭობენ. თათრები უკან არ უშვებენ. ეთხოვთ შეგატყობინოთ, შემოუშვათ თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე.

ტყელების მადარობაში. შრომის მინისტრის ამხანაგე ესაძე კვლავ ვაგებავრა ტყეებში როგორც ვიცით იქაური მუშები უკვე გაფიცულან.

სასოფლო კომისიაში ბიჭორი კლანდარიაშვილი სასოფლო კომისიის მდიანსა, ზუღდილის მაზრის მდგომარეობის თაობაზე. აღნიშნა, ზუღდილის მაზრა გერ-გერობით ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფება. თუ იქ შეიარაღებული ძალა არ გაიგზავნა — ბოლშევიკებისგან რაიონის გასაწმენად, იდგური მუშობა შეუძლებელია, როგორც სოფლად ისე ქალაქად. ეხლა არაფერი მუშაობა არ სწარმოებს. მთელ მაზრაში საჭიროა არა ნაკლებ 7-8 პრაპაგანდისტისა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრძელებს აღმინისტრაციის მოწყობას. ქუთაისის ორგანიზაციას ზუგდილიდან თითქმის არავითარი დამოკიდებულება აქვს.

ინფენერია და ტყეშიაობა ქართული ამხანაგობის საზოგადო კრება შესდგინდა დღეს, აგვისტოს, 25-ს ქართულ სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში სასახლის ქ. №6 დილის 11 საათზე განსახილველია ფრიალ საყურადღებო საკითხები. დასწრება შეუძლიათ ამხანაგობაში ჩაწერის მსურველთაც.

კანონი
ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირობით რომელიც დაბადებულან 1896-1899 წლებში

არმიის შესასვლელად მშვიდობიანობის დროის შტაბში და გასაუქმებლად საქართველო ტერიტორიაზე დღემდის მოქმედების ყოველგვარის კანონისა და მთავრობის განკარგულებისა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა:

მუხ. 1
ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 და 1897 წლებში და იმყოფება ეხლა რესპუბლიკის ჯარში, დარღვეულ იქნენ ნამდვილ სამსახურში განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

მუხ. 2
ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1898 წელს და დღეს ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის საკვალდებულო ვადის შესრულებამდე, ეს ვადა ჩაეთვლება დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხ. 3
ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 წ. და დღეს ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის ვადის შესრულებამდე, ეს ვადა ჩაეთვლება დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხ. 4
რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, 1-ლსა და მე-2 მუხლში აღნიშნულის პასაკისა, თუ რაიმე მიზეზით ეხლა ჯარში არ იმყოფება, დაუყოვნებლივ უნდა გაწვეულ იქნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

მუხ. 5
რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე 1 და 2 მუხლში ნაჩვენებების პასაკისა, მოვალეა არ მოუცადოს განსაკუთრებულ მოწვევას და თვით გამოცხადდეს არა უგვიანეს ამ წლის სექტემბრის 10-სა სათანადო უფროსთან ჯარის ნაწილებში ჩასარიცხად ვინც ამ დღისთვის არ გამოცხადდება, ჩაითვლება დეზერტირად და შეპყრობილი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

მუხ. 6
ვინც 1895 წლამდე, ან 1895 წელს დაბადებულია და ახლა ჯარში მსახურობს, დათხოვნილი იქნება სათანადო გოდ სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, იმის კვალობაზე, როგორც ეს გამოცხადდებიან ისინი, რომელიც გაწვეულ იქნებიან ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ხოლო არა უგვიანეს ოქტომბრის პირველისა.

ამ კანონის სისრულეში მოსაყვანად განკარგულების მოხდენა დაეკისროს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

1918 წ. აგვისტოს 20.
საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ბ. ჟორდანიანი.**

არ. ჯაჯანაშვილის განცხადება

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრმა არ. ჯაჯანაშვილმა შემდეგი განცხადება წარუდგინა მიწათმოქმედების მინისტრს: „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოვასხენოთ, რომ გორის მაზრის სოფელ კავთისხევის რაიონი ერთი ისეთი რაიონითაგანია, სადაც მთელი რევოლუციის განმავლობაში წეს-რიგი არ დარღვეულა. აიხსნება ეს გარემოება განსაკუთრებით იმ სრული ნდობით, რომელიც გამსჭვალული არიან სოფ. კავთისხევის მცხოვრებნი მთავრობისადმი. რევოლუციის განმავლობაში არც აგრარულ მოძრაობას და ტერორსა ჰქონია ადგილი ამ რაიონში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ-სამიოდ მკვლევლობას, რომლის წინააღმდეგაც არის მთელი სოფელი. ესეც ნიშნავს, რომ მცხოვრებლები ნდობით ეკიდებიან მთავრობის მუშაობას ამ სფეროში. მიუხედავად ამისა, აი უკვე რამდენიმე თვე გადის და სოფელ კავთისხევის საქმოდ დიდს რაიონს ვერ ეწვია მიწების მიმღები კომისია. ხალხი მოუთმენლად ელის ამ კომისიას, როგორც მთავრობის ორგანოს, რომელმაც საბოლოოდ უნდა მოაწესრიგოს მიწის საკითხი.

ვიღებ რა მხედველობაში ხალხის ამ სურვილს, მე, როგორც შემოსენებული სოფლის მცხოვრები, უმოჩინოვებდა ვთხოვთ მიიღოს ზომები, რათა სოფ. კავთისხევი რაც შეიძლება მალე გაგზავნოს შემამულეთაგან ჩამორთმეული მიწების მიმღები კომისია“.

ჩვენი ახს ნაგოვა

საქართველო ამდენხანს საკუთარ ინტეიტავს, თავისუფალ განვითარებას და ეროვნულ საქმიანობის უფლებას მოკლებული იყო. ის გარეშე ძალების, გარეშე „მზრუნველობის“ შემყურე იყო და ჩვენი ქვეყნის „განვითარება“ სწორედ ამ უცხოელ მკვლევარების კარნახით, სურვილით და გავლენით ხდებოდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი საქართველო დაძაბუნდა, ცხოვრება მისი მო-

გაგონებოვნი

(ჩემს ოფიცერებს: მეღვინეთ-ხუტესს, კინო მესხიშვილს, ბიძინა დავითაშვილს).
გუშინ დავაწყვე მე იარაღი, გამოვეთხოვე თოფ-ზარბაზანსა, გუშინვე მუხას წარუდგე ლალი და თვით სამშობლო მიგდებდა განსა. ჩვენ კიდევ ერთად შევიყარებით: მე, ჩემი მუხა და სიყვარული, და, მზე დამკრალი ქვეყნის მწარე ენით, კვლავ მოვიკითხე მტკიცე და სრული. კაცებთან ომში დიდხანს ნამყოფი, ვაკეთოვდა ვეფხვებს და ვხარობ ისე, ლამის დავკონო ჩემი დამგობი, ქართველის მტერი და სული მქისე... ჰოო, დავაწყვე მე იარაღი, ეხლა სულ სხვაგან დავხარჯავ დროსა, მაგრამ დღეიდან ჩიტყვით ლალი, აი რას ვეტყვი ჩემ სამშობლოსა: საც უნდა ვიყო, რაც უნდა ვაკეთო, ვიაც უნდა მყავდეს თანხავარი გვერდით და, თუნდ სიმკაცრით იგი გავკეთო, რასაც მე, მუხა დიდხანს ვწერდით — მაინც ის უნდა გავროდეს გულით, მაინც მას უნდა ჰკრფოდნენ ყურები, რომ ახალსა გქმნი ჩემი წარსულით, რომ კვლავ სამშობლოს ვემსახურები!

1918 წ. აგვისტოს 23 ტფილისი.

დუნდა, დაქინდა და ქართველი ერი, საკაცობრიო ოჯახის ოდესღაც სწორ-სწორად და სასახელი წვერი, ბოლოს საშინლად ჩამოქვეითდა, „უკანასკნელ-თაც“ კი უკან ჩამორჩა... მაგრამ ხალხის ბრძნული თქმულებით „ზოგი პირიც მარგებელია“ და ამ საშინელ ომის ქართველში ქართველმა ერმა თავისუფლება გამოსძქედა და დღეს ჩვენი თავი ჩვენ ხელთ არის, დღეს უკვე გვაქვს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება, დღეს უკვე ჩვენზე დამოკიდებული ჩვენი ავი და კარგი... დღეს არის საჭირო ჩვენი ცხოვრების ნაკულუვანებთა შეგნება, მრავალჯერ საჭიროებთა გათვალისწინება, სასურველ მიმდინარეობისაკენ გზის გაკაფვა, მოღუწებული ცხოვრების შეზრება, ფხიზელი აზროვნება, დაუმრეტელი ენერგია, სამშობლოსათვის თავდადება და ერთულება.

უნდა კარგად გავხსოვდეს, რომ ხალხის დამოუკიდებელ არსებობის და მისი უზრუნველყოფის ერთ-ერთ მტკიცე გარანტიას ეკონომიური ცხოვრების სიმტკიცე შეადგენს და თუ ქვეყანა ეკონომიურად უძლურია, თუ მას ვეღვარება უცხოეთიდან შემოსატანი აქვს, ვასახილდ კი არაფერი, მისი საფუძველი შეწყვეტულად და მისი საქმე დაღუპულად უნდა ჩაითვალოს. მრეწველობის განვითარებას, აღბე-მიცემობის გაცხოველებას, ერთი სიტყვით, ეკონომიური და ფინანსიური მხარეების განმტკიცებას შეუძლია გვიხსნას დაღუპვისაგან, ვინაიდან ცნობილია, რომ ეკონომიური და ფინანსიური „კრახა“ რევოლუციის და მისი მონაპოვართა კაპიტულია იწვევს. მრეწველობის განვითარებასთან ერთად საჭიროა ზრუნვა სამშენებლო მუშაობის საწარმოებლად, რათა უმუშევრობა და სიმშობილი, უმცაყოფილება და ანარქია კონტრ-რევოლუციის და არე-დარევა თავიდან ავიშოროთ.

ერთი უძლიერესი საშუალება ჩვენი მრეწველობის წარმოშობა-განვითარებისათვის, ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის, ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, იქნება სამრეწველო-სამშენებლო ამხანაგობათა და საზოგადოებათა დაარსება. ასეთ ამხანაგობათა და საზოგადოებათა დაარსებას, საკუთარ თანხით და საკრედიტო დაწესებულებათა შესაფერისი დახმარებით საქმის წარმოების გზას შეუდგა ინვლისი მე-18 საუკუნეში, როდესაც მან ეროვნული მრეწველობა ფლამანდიელთა ზეპირი კონკურენციისაგან იხსნა; საფრანგეთშიც ამავე გზით დაიწყო განვითარება კოლმერის და მის თანამოაზრეთა დროიდან; გერმანიამ მე-19 საუკუნეში და განსაკუთრებით უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში კერძო ინიციატივის განვითარება, მწარმოებელთა საზოგადოებებში შეკავშირება და საკრედიტო დაწესებულებათა წარმოებით დაინტერესება, — უმწვერვალეს საფუძვრად იყენა, რამაც გამოიწვია მისი ეგზიმ დაწინაურება. თუ გვესურს ეკონომიური აღორძინება ეკონომიური ცხოვრების განმტკიცება, დამოუკიდებელ არსებობის შენარჩუნება ჩვენც ამ გზას უნდა დავადგათ.

ეს არის მომენტის მოთხოვნილება... კაპიტალისტურ ხანაში იმის სიკაცების აღწერა დათვლილია, ვინც ცხოვრებას ადღის ვერ აუღებს, მის მოთხოვ-

ნილებს ანგარიშს ვერ გაუწევს... მაგრამ არ კმარა კეთილი აზრებით, სამშობლოს აყვავების და მისი ბედნიერების სურვილით განიმსქველო. საჭიროა სურვილის საქმედ ქცევა, სამოქმედო გეგმის და პრაქტიკული ნაბიჯების შემუშავება, საქიროა აქტიური მოქმედება... ამ მიზნით ქართველ ინტენერთა და ტენიკოსთა ჯგუფის ინიციატივით არსდება ამხანაგობა, რომელიც: ა) შეისწავლის ყოველმხრივ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს; ბ) გამოარკვევს თუ რა დარგების განვითარება შეიძლება, თუ რა უნდა შეადგენდეს ჩვენი ექსპორტის და იმპორტის საგანს; გ) შეეცდება ჩვენი ეროვნული სიმდიდრის დამუშავებაში ეროვნული ცოცხალი ძალების და კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენებას; დ) შეეცდება მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის დარგთა რაციონალურად და მკიდრო ნიადაგზე დამყარებას; ე) ეროვნული სიმდიდრის განიცებას ხელს შეუშლის, განსაკუთრებით უცხოელ მკვლევარებს ხელში გადასვლას; ვ) შეეცდება ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და მეურნეობის პროდუქტებისათვის რიგიან ბაზრის მოპოვებას; ზ) შეეცდება ჩვენი ქვეყნის ნელი მასალის ადგილობრივ გადაამუშავებას და ხალხისთვის საქონლის იაფფასებში მიწოდებას; თ) შეეცდება ხალხისთვის საჭირო იარაღების აქვე შექმნას და შეამავლობას უცხოეთიდან ჩამოტანილ საქონლის ხელსაყრელ პირობებში მისაწვდენად; ი) შეეცდება სოფელ-ქალაქების გაჯანსაღებას და სანიტარულ ტენიკის საჭირო ნიადაგზე დაცვას; კ) შეეცდება ორგანიზაციული ნების, პრაქტიკული უნარის და ენერგიის, ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალის, ჩვენი სასიცოცხლო ძალების ამოძრავებას, გამოყენებას, განვითარებას და სხვა... ჩვენი ამხანაგობა არსდება არა ჩარჩული, არა საკუთარ ციხისა და კომინაციების მიზნით, არამედ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო-სამშენებლო განვითარების და აყვავების განზრახვით ჩვენ გვესურს ამ სერიოზულ მომენტში, როდესაც წყდება ჩვენი ერის ბედ-ილალი და ერის შვილებზე დამოკიდებული სამშობლოს მომავალი, — შევიტანოთ თავისი წვლილი საერთო საქმიანობაში; შეუფარდოთ ჩვენი მოღვაწეობა ცხოვრების მოთხოვნილებას, დავეხმაროთ ჩვენი ნორჩ სახელმწიფოს სამშენებლო მუშაობაში, დავეხმაროთ მთავრობას და საზოგადოებას, სოფელს და ქალაქს... ჩვენი სურვილია აგრძელებთ თავიდან ავიცილოთ, რამდენად ეს შესაძლებელია კაპიტალისტურ ხანაში, საკუთარი შრომის და მშრომელი ხალხის ექსპლოატაცია. ჩვენი ამხანაგობა არის წმინდა დემოკრატიული, შრომის და თანამშრომლობის პრინციპზე აგებული. ჩვენი სურვილია, მთელი ჩვენი არსებით, ცოდნით, ინიციატივით, ახალ-გაზღვრული გაცხადებით და უნერგით ვიმუშაოთ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ და იმეორე გვაქვს, ჩვენსკენ იქნება მთავრობის, ბანკების, საზოგადოების, განსაკუთრებით მისი დემოკრატიული ნაწილის სიმპათია, თანაგრძობა და დახმარება... აი, ამაში ვხედავთ ჩვენ ჩვენს სიმადრეს და სიძლიერეს და ამ იმედით ვიწყებთ მუშაობას!

ინფ. ვ. კაკაბაძე.

სახმების აზგა

ივლისის 23-ს, აგვისტოს 23-ს იმდები მოხდა მთელს საქართველოში უკვე მესამე წელიწადის განმავლობაში კორესპონდენტების შეხვედრა. წერტილში დასასრულ ვწერდით, რომ ივლისის 23-ს საღ. მოს და 24-ს დილით ორი წყება დელეგატებისა ჩამოვიდა ქალაქში და ვითომც მოჩილება გამოუცხადეს ჩვენი მთავრობის სამხედრო წარმომადგენელს ბ-ნს იშხნელს მეამბოხეთა სახელით, მაგრამ როდესაც კბილი გაუშინჯეთ, როგორც წინამდებლობის დელეგატებისას, ისე მათ ვინაობასა და სადაურობას, სრულიად გამოიჩვენა, რომ იგინი არ იყვნენ წარმომადგენელი თავზე ხელალებულ მეამბოხეებისა. დელეგატებში მონაწილეობდნენ სოფ. პერევის მთავარ-დიაკანის სამხედრო ოფიცერი დროშით ხელში, ამავე სოფლის მცხოვრები მიქელა გულიტიშვილი, მეამბოხეთა ერთი მეთაურთაგანი ჭალის ხეობაში, და ოთხი ოსი, სოფ. ჯრია-ჯალაბეთელი.

პირველ დღეს მათ აღუთქვეს ჩვენის რაზმის უფროს ტყვეების დაბრუნება და იარაღის ჩამოტანა არა მთელ მეამბოხეთაგან, არამედ მარტო აღნიშნულ სოფელიდან. მეორე დღეს დელეგატთა ვინაობა, რაოდენობის და ვინაობის უმნიშვნელო ცვლილებით იგინი მართლაც ჩამოვიდნენ ქალის სასოფლო სკოლის შენობაში და გამართულეს სიტყვა და ჩამოიყვანეს ჩვენი ტყვეები რომელთა ვინაობა წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ. რაც შეეხება იარაღებს, ამაზე განაცხადეს სამხედრო გაუშვიტი ჩვენი ტყვეებიც და როდესაც ჩვენები ამას ნახებდნენ მოიბრუნებენ და იარაღსაც დაპყრიანო, ბ-ნმა იშხნელმა მათ უპასუხა: ტყვეების განთავისუფლება ჩემგან ყოველად შეუძლებელია, რადგანაც ყველა დამნაშავენი მეამბოხეთაში გაგზავნილ არიან ჩვენის მთავრობის განკარგულებაში, რომელიც ამ მოკლე ხანში გაარჩევს საქმეს, ხოლო თუ იარაღებს არ ჩამოტანებენ ჩემის ჯარით წინ მოვდივარ და ასეთს ურჩობას ვერ ვაპატიებთ. დელეგატებმა დაიწყეს გოდება და წუხილი: რაღა გვეშველება თქვენი ტყვენი მხოლოდ ამ პირობით დაგვითმეს ჩვენებმა, ასე ცარიელებს როგორ შეგვეძლიან დაგზრუნდეთ, ყველას დაგზნოცნენ და სხვ.

საერთო მოგონებასა და იარაღის დაყრახე აწ დელეგატებს სიტყვაც არ დაუსვლეს. მათ მხედრის ბ-ნ იშხნელის წინააღმდეგ იარაღის ჩაბარების შესახებ განაცხადეს: ბატონი ბრძანებით, ორიდან ნუ დაგვატყვევებ და სოფელ ჯრიასა, ჯალაბეთსა და პერევის რაიონში ყველს მოგართმევთ. სხვათა შორის, ერთმა დელეგატთაგანმა მოსმა შესთავაზა ამ რაიონი სიტყვით მოგვართა: ჩვენ შეურთვებით საქართველოსა და მის მთავრობას, წინააღმდეგობას აღარ გაუწევთ, აქამდე ერთად გვეცხოვრია და აწუც ვეცდებით ერთად ვიცხოვროთო, რაც შეეძლება მოგვივიდა და რაც უნდა გეძინება დატრიალდა ეს სულ ჩვენი მეთაურების, ჩვენი ნასწავლი ხალხის ბრალია, როცა მათს მოქმედებას მე წინ აღუდგე და უარი ვთქვენი წინააღმდეგოდ თოფის ალებაზე მათ ჯაშუსად მომნათლეს და დღევანდლამდე მოსაყლაფს მდევენ, ეხლაც არ ვიცი, რომ დავბრუნდები, მცოცხლებენ თუ არაო. რაზმის უფროსმა გაუმეორა დელეგატებს დამორჩილებოდნენ ჩვენს მთავრობას და მშვიდობიანი გზით დაგბრუნებით ყველა განაძარცვი და ოსეთისათვის წაღებული, დაეყარათ იარაღი და სხვა. პერევილი მთავარ-დიაკანი აღარ დაბრუნდა თავის სოფელში მოქალაქე, ხოლო დენარჩენები წაივინდნენ იმ ალექსიტ, რომ იგინი დაარწმუნებდნენ ყველას დამორჩილების აუცილებლობას და საზოგადოდ მთავრობის ყველა მოთხოვნილების შესრულებაც. პასუხი პერევი-ჯრია-ჯალაბეთელებს უნდა მოეცათ ივლისის 25-ს შეადგენდნენ, როგორც აღვნიშნეთ მეამბოხენი არ დამორჩილდნენ და ჩვენი ჯარი აღნიშნულ დროს ნაშუადღევს პირველ საათიდან ბრძოლით შეუდგა პირის მთის ხეობას. სამი საათის ბრძოლის შემდეგ ამავე დღეს ჩვენი ჯარი შევიდა სოფ. პერევისა და ჯრიაში და დაიკავა პერევიამდე მთელი ხეობა. მთავრებებმა დასტოვეს მთელი ეს ნაწილი და ბერძენთაგან იქით თითქმის მიუძღლ მთა-კლდე-ღრეების შეფარეს თავი აღნიშნულ სოფლებში ჩვენს ჯარს ერთი სულიერით არაფერ დახვედრია ქალიან-ბავშვიან-კაცთანად მცხოვრებნი რალც მთელად, უღარც ტყვენი მიიმალნენ შინისა გამო როდესაც დაარწმუნდნენ, რომ ჩვენი რაზმელები მშვიდობიან ხალხს ხელს არ ახლებენ, ნელ-ნელა რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდნენ და ხალხი მოგბატონდა თავიანთ სახლებსა და საოჯახებს. ათობობოლოა თოფიც გადასცეს ჩვენს ჯარს ეტყობოდა გაბოროტებული ამხანაგობა არა სჩანდა და არაფერი ამბობდა სწორი ვისთან და სად არიან მეთაურ-

ნილებს ანგარიშს ვერ გაუწევს... მაგრამ არ კმარა კეთილი აზრებით, სამშობლოს აყვავების და მისი ბედნიერების სურვილით განიმსქველო. საჭიროა სურვილის საქმედ ქცევა, სამოქმედო გეგმის და პრაქტიკული ნაბიჯების შემუშავება, საქიროა აქტიური მოქმედება... ამ მიზნით ქართველ ინტენერთა და ტენიკოსთა ჯგუფის ინიციატივით არსდება ამხანაგობა, რომელიც: ა) შეისწავლის ყოველმხრივ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს; ბ) გამოარკვევს თუ რა დარგების განვითარება შეიძლება, თუ რა უნდა შეადგენდეს ჩვენი ექსპორტის და იმპორტის საგანს; გ) შეეცდება ჩვენი ეროვნული სიმდიდრის დამუშავებაში ეროვნული ცოცხალი ძალების და კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენებას; დ) შეეცდება მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის დარგთა რაციონალურად და მკიდრო ნიადაგზე დამყარებას; ე) ეროვნული სიმდიდრის განიცებას ხელს შეუშლის, განსაკუთრებით უცხოელ მკვლევარებს ხელში გადასვლას; ვ) შეეცდება ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და მეურნეობის პროდუქტებისათვის რიგიან ბაზრის მოპოვებას; ზ) შეეცდება ჩვენი ქვეყნის ნელი მასალის ადგილობრივ გადაამუშავებას და ხალხისთვის საქონლის იაფფასებში მიწოდებას; თ) შეეცდება ხალხისთვის საჭირო იარაღების აქვე შექმნას და შეამავლობას უცხოეთიდან ჩამოტანილ საქონლის ხელსაყრელ პირობებში მისაწვდენად; ი) შეეცდება სოფელ-ქალაქების გაჯანსაღებას და სანიტარულ ტენიკის საჭირო ნიადაგზე დაცვას; კ) შეეცდება ორგანიზაციული ნების, პრაქტიკული უნარის და ენერგიის, ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალის, ჩვენი სასიცოცხლო ძალების ამოძრავებას, გამოყენებას, განვითარებას და სხვა... ჩვენი ამხანაგობა არსდება არა ჩარჩული, არა საკუთარ ციხისა და კომინაციების მიზნით, არამედ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო-სამშენებლო განვითარების და აყვავების განზრახვით ჩვენ გვესურს ამ სერიოზულ მომენტში, როდესაც წყდება ჩვენი ერის ბედ-ილალი და ერის შვილებზე დამოკიდებული სამშობლოს მომავალი, — შევიტანოთ თავისი წვლილი საერთო საქმიანობაში; შეუფარდოთ ჩვენი მოღვაწეობა ცხოვრების მოთხოვნილებას, დავეხმაროთ ჩვენი ნორჩ სახელმწიფოს სამშენებლო მუშაობაში, დავეხმაროთ მთავრობას და საზოგადოებას, სოფელს და ქალაქს... ჩვენი სურვილია აგრძელებთ თავიდან ავიცილოთ, რამდენად ეს შესაძლებელია კაპიტალისტურ ხანაში, საკუთარი შრომის და მშრომელი ხალხის ექსპლოატაცია. ჩვენი ამხანაგობა არის წმინდა დემოკრატიული, შრომის და თანამშრომლობის პრინციპზე აგებული. ჩვენი სურვილია, მთელი ჩვენი არსებით, ცოდნით, ინიციატივით, ახალ-გაზღვრული გაცხადებით და უნერგით ვიმუშაოთ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ და იმეორე გვაქვს, ჩვენსკენ იქნება მთავრობის, ბანკების, საზოგადოების, განსაკუთრებით მისი დემოკრატიული ნაწილის სიმპათია, თანაგრძობა და დახმარება... აი, ამაში ვხედავთ ჩვენ ჩვენს სიმადრეს და სიძლიერეს და ამ იმედით ვიწყებთ მუშაობას!

ინფ. ვ. კაკაბაძე.

